საქართველო

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის

საკრებულო

N 15
28/02/2017

15-07-4-201702282354

**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს**
**განკარგულება №15**
**2017წლის 28 თებერვალი**
**ქ. ლანჩხუთი**

**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საჯარო მოხელეთა 2017 წლის სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების და „ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა უწყვეტი სწავლების სისტემის, მასში ჩართული უწყებების უფლებამოსილებებისა და ამ სისტემის ფუნქციონირების პრინციპებისა და წესის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2015 წლის 7 ივლისის N319 დადგენილების მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად,

**მუხლი 1.** დამტკიცდეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საჯარო მოხელეთა 2017 წლის სასწავლო გეგმა დანართის შესაბამისად.

**მუხლი 2.** განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე, ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“ მე–8 თავის 22–ე მუხლის მე–3 ნაწილის შესაბამისად.

**მუხლი 3.** განკარგულება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

გიორგი ხელაძე

საკრებულოს თავმჯდომარე

საკრებულოს ბიურო

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საჯარო მოხელეთა 2017 წლის სასწავლო გეგმა

| N | სწავლების სფერო | მოხელეთა რაოდენობა | სწავლების ფორმა | სწავლები სპერიოდი კვარტალი | შესასწავლი საკითხები აღნიშნულ სწავლების სფეროში | დაფინანსება ბიუჯეტიდან (ლარი) | დაფინასება სხვა წყაროდან |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ადმინისტრაციული წარმოება | 2 | მოკლევადიანი ტრენინგი (საკრებულო) | 2 კვარტალი | საკითხის ინიცირება. განხილვის დაწყება, ზოგად ადმინისტრაციული კოდექსი ადმინისტრაციულ საჩივართან მიმართებაში. წარმოების სახეები, მარტივი ადმინისტრაციული წარმოება, წარმოების სახეების გამიჯვნა | 2200 | |
| 2 | საზოგადოებასთან ურთიერთობა | 1 | მოკლევადიანი ტრენინგი (საკრებულო) | 2 კვარტალი | სტრატეგიის დაგეგმარება ,მედიასთან ურთიერთობა,სოციალური მედია,პრეს რელიზის შემუშავება, ვებ გვერდის ადმინისტრირება, ეფექტური პიარისდაგეგმვა, სამართლებრივი ნორმები საჯარო ინფორმაციის გაცემისას, ურთიერთობის სამართლებრივი მხარეები, ჟურნალისტიკური სპეციფიკა. ფოტოგრაფია | 1200 | |
| 3 | სასამართლოში მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობა | 1 | მოკლევადიანი ტრენინგი (საკრებულო) | 3 კვარტალი | დასაშვებობის წინაპირობები.პროცედურები.სხდომის ეტაპები.ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი | 1200 | |
| 4 | მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფორმირება, დამტკიცება, შესრულება და ანგარიშგება | 1 | მოკლევადიანი ტრენინგი | 2 კვარტალი | ბიუჯეტის ფორმირება, ბიუჯეტის დამტკიცება, ბიუჯეტის შესრულება. პროგრამული ბიუჯეტი | 1000 | |
| 5 | მშენებლობის ნებართვის გაცემა და მშენებლობაზე ზედამხედველობის განხორციელება | 2 | მოკლევადიანი ტრენინგი | 2 კვარტალი | მშენებლობის ეტაპები, კონტროლი მშენებლობაზე, ხაზობრივი ნაგებობები,ზედამხედველობის ფორმების დაკონკრეტება, დოკუმენტაციის ჩამონათვალის შედგენა, გამარტივებული წესით ნებართვის გაცემა | 2000 | |
| 6 | სახელმწიფო შესყიდვები | 1 | მოკლევადიანი ტრენინგი | 2 კვარტალი | შესყიდვების გეგმის შედგენა, გეგმაში ცვლილების შეტანა, შესრულება. გეგმის შესრულება . ტენდერის გამოცხადება. ორეტაპიანი ტენდერების ჩატარების წესი. ხელშეკრულებების შედგენა. მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის საკითხები | 1000 | |
| 7 | მუნიციპალური ქონების მართვა და განკარგვა | 2 | მოკლევადიანი ტრენინგი | 3 კვარტალი | ქონების ბალანსზე აყვანა, მიწის უძრავი ქონების საკითხების შესწავლა, ქონების აღრიცხვა და სისტემაში მოყვანა, უძრავი ქონების და მოძრავი ქონების კლასიფიკაცია და განკარგვა,ადგილობრივი ქონების პრივატიზების წესები და პროცედურები | 2000 | |
| 8 | მუნიციპალიტეტის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვა | 1 | მოკლევადიანი ტრენინგი | 2 კვარტალი | მოცულობითი დაგეგმარება, კეთილმოწყობა. | 1000 | |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | სოციალური დაცვისა და ჯანდაცვის საკითხები მუნიციპალიტეტში | 1 | მოკლევადიანი ტრენინგი | 2 კვარტალი | სოციალური პროგრამების შედგენა, სოციალურად დაუცველ მოსახლეობასთან მუშაობა. | 1000 | |
| 10 | კულტურის სფეროს მართვა | 1 | მოკლევადიანი ტრენინგი | 2 კვარტალი | კანონმდებლობის, სიახლეების შესწავლა კულტურის სფეროში. ღონისძიებების დაგეგმვა | 1000 | |
| 11 | სასამართლოში მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობა | 1 | მოკლევადიანი ტრენინგი (საკრებულო) | 3 კვარტალი | დასაშვებობის წინაპირობები.პროცედურები.სხდომის ეტაპები.ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი | 1200 | |
| 12 | საზოგადოებასთან ურთიერთობა | 1 | მოკლევადიანი ტრენინგი | 2 კვარტალი | სტრატეგიის დაგეგმარება ,მედიასთან ურთიერთობა,სოციალური მედია,პრეს რელიზის შემუშავება, ვებ გვერდის ადმინისტრირება, ეფექტური პიარისდაგეგმვა, სამართლებრივი ნორმები საჯარო ინფორმაციის გაცემისას, ურთიერთობის სამართლებრივი მხარეები, ჟურნალისტიკური სპეციფიკა. ფოტოგრაფია | 1200 | |
| 13 | წვევამდელთა გაწვევისა და მობილიზაციის საკითხები სამხედრო სამსახურში. | 1 | მოკლევადიანი ტრენინგი | 3 კვარტალი | წვევამდელთა გაწვევისა და მობილიზაციის საკითხები | 900 | |
| | | | | | | 16900 | |